ახალი ხარაგაული

353 (12) 31 მაისი, 2017 წ

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 26 წელი გავიდა

26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის თავგანწირული მებრძოლის, ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას, გარდაცვალების ადგილას, სოფელ ბორითში, საზეიმო ვითარებაში აღინიშნა. ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კობა ლურსმანაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მერაბ კოსტავას მემორიალი გვირგვინით შეამკეს. სტუმრებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში შეტანილი მერაბ კოსტავას უდიდესი წვლილი. ბორითის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა კი პატრიოტულ თემებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს და ლექსები წაიკითხეს.

შეკრებილ საზოგადოებას დამოუკიდებლობის დღე მიულოცა ნიკოლოზ თოფურიძემ და შესაბამისი სასარგებლო რჩევები მისცა ახალგაზრდებს.

,,დღეს ნამდვილად დიდებული დღეა საქართველოს ისტორიაში. ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს.

ჩვენი მიზანია, მომავალმა თაობამ სამართლიან და თავისუფალ საქართველოში იცხოვროს. სამართლიანობა კი ცოდნითა და პატიოსნებით მიიღწევა. ახალგაზრდებს გირჩევთ, სიყვარულით მოეკიდოთ ყველაფერს და წიგნთან სიახლოვეში აიმაღლოთ ცოდნის დონე. მერაბ კოსტავა იყო უნიჭიერესი და ძალიან წიგნიერი ადამიანი. იგი იყო ასევე მუსიკათმცოდნე, თუმცა ეს ბევრმა არ იცოდა. აღსანიშნავია, რომ 26 მაისი მერაბის დაბადების დღეა. საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი, ეროვნული მოძრაობის ლიდერი, 78 წლის გახდებოდა. ჩვენი ვალია, ეს პიროვნება ყოველთვის გვახსოვდეს და შთამომავლობას ვუთხრათ, რომ სწორედ მისი და მისი თანამებრძოლების დამსახურებით ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა იზეიმა“, - აღნიშნა გამგებელმა.

ეროვნული გმირის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა პარლამენტარმა, კობა ლურსმანაშვილმა: ,,ვიდრე საქართველოს ეყოლება ისეთი გმირები, როგორიც იყო მერაბ კოსტავა, მას ძნელბედობის ჟამი არასდროს დაუდგება. იმპერიები იმსხვრეოდნენ, ხოლო საქართველო ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. დღეს ჩვენი ქვეყნის გარკვეული ტერიტორია ოკუპირებულია, მაგრამ საქართველო აგრძელებს ბრძოლას, შეინარჩუნოს თვითმყოფადობა, დაიბრუნოს ტერიტორიები და შეუერთდეს ევროპული სახელმწიფოების ოჯახს. მერაბი არის სიმბოლო დამოუკიდებლობისა და გამარჯვებისა. მან დაიმკვიდრა თავი საქართველოს ისტორიაში, იმ დიდ ისტორიაში რომელსაც თავიდან ბოლომდე გმირთა ცხოვრება ჰქვია. მე ამაყი ვარ

იმით, რომ მომეცა შესაძლებლობა, გარკვეული დროს განმავლობაში მის გვერდით მებრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის. ის გახლდათ ძალიან უშუალო, ჭეშმარიტად ქართველი კაცის ეტალონი. რუსეთის იმპერია ყველანაირად ცდილობდა, მისი პიროვნული თვისებები დაეკნინებინა და ნებისყოფა გაეტეხა, მაგრამ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი, მერაბ კოსტავა, ვერ გატეხეს.“ - დასძინა, მაჟორიტარმა დეპუტატმა.

ნიკოლოზ თოფურიძემ აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის საფლავები ყვავილებით შეამკო

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების საფლავები ყვავილებით შეამკო და წუთიერი დუმილით მათ ხსოვნას პატივი მიაგო. გმირების საფლავებზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს ის მძიმე წუთები და შეგვახსენეს, თუ როგორი ვაჟკაცები ჰყავდა საქართველოს:

22 წლის ასაკში „შავლეგოს“ სიმღერით შეწყვეტილი სიცოცხლე კინდღის მისადგომებთან - არტილერისტი გია ლურსმანაშვილი ჩხერიდან;

20 წლის, ღუდუმექეთელი, მამუკა თაბუკაშვილის 1993 წლის სისხლიანი ისტორია;

31 წლის თეთრაწყაროელი ნოდარ თავზარაშვილის შეწირული სიცოცხლე სამშობლოს ერთიანობისთვის- ეს მცირე ნაწილია იმ გმირებისა, რომლებიც საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ ჩვენი რაიონიდან. საშინელ ომს ხარაგაულიდან ცხრამეტი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა.

,,ადამიანები, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას თავი შესწირეს, ნამდვილად გმირები არიან. ამ ომში მათი ღვაწლი ფასდაუდებელია. ჩვენი ვალია, არასდროს დავიწყოთ და პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა კი ხელისუფლების წარმომადგენლებს გვეკისრება. ჩვენ ყოველთვის გამოვხატავთ ყურადღებასა და მხარდაჭერას მათი ოჯახების მიმართ,“ - აღნიშნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ.

26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეს ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც 1918 წლიდან იღებს სათავეს. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო.

ინფრასტრუქტურის მინისტრი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს შეხვდა

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ზურაბ ალავიძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უბისაში, ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტურისტული ცენტრის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა.

ვიზიტის ფარგლებში, მინისტრი ხარაგაულის გამგებელს, ნიკოლოზ თოფურიძეს, მოადგილეებს - არჩილ მაღრაძესა და თემურ ჩხეიძეს, ასევე გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსს, ჯაბა ბერაძესა და არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსს, თემურ თაბუკაშვილს, შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა იმერეთის მხარის რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი.

ზურაბ ალავიძემ ხარაგაულის ხელმძღვანელი პირებისგან მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია პირადად მოისმინა და მათთან ერთად რიგი პრობლემური საკითხების მოგვარებაზე ისაუბრა.

მინისტრსა და გამგებელს შორის საუბარი ძირითადად ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის 50 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის საკითხს ეხებოდა. განიხილეს მშენებლობის პროცესში გასათვალისწინებელი რისკ-ფაქტორები და დასძინეს, რომ რეაბილიტაციის დაწყებამდე აუცილებელია, ხარაგაულში ცენტრალური საკანალიზაციო სისტემისა და სასმელი წყლის გაყვანილობის მოწესრიგება.

სამინისტრო და ხარაგაულის გამგეობა უკვე აქტიურად ჩაერთნენ სახელმწიფო მნიშვნელობის გზის მშენებლობის დაწყებამდე სხვადასხვა პრობლემური საკითხების მოგვარებაში.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

უბისის მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ივნისის ბოლოს დასრულდება

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების მიზნით, უბისის მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურა ეწყობა. რეგიონში ჩამოსულ ტურისტებს ყველა პირობა ექნებათ იმისთვის, რომ დაათვალიერონ მონასტრის ტერიტორია და გაეცნონ მის ისტორიას. პროექტის ფარგლებში ამ ტერიტორიაზე აშენდა: საინფორმაციო ცენტრი, კაფე, ავტოსადგომი, სველი წერტილი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტაძრამდე მისასვლელ გზას. მიმდინარე სამუშაოები რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ზურაბ ალავიძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელ ნიკოლოზ თოფურიძესთან ერთად მოინახულა. უბისის მონასტერთან კულტურული მემკვიდრეობის ზონების კეთილმოწყობა ივნისის ბოლოს დასრულდება. სამუშაოებს მსოფლიო ბანკი 2 მილიონი ლარით აფინანსებს და ამჟამად 25 ადამიანია დასაქმებული.

აქციას - ,,ღამე მუზეუმში" - ხარაგაულიც შეუერთდა

27 მაისს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში(დირექტორი ნინო დიდიძე) მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა. „ღამე მუზეუმში“ -ასე ეწოდება აქციას, რომელსაც საფუძველი 2005 წელს ევროსაბჭოს მიერ ჩაეყარა და მას შემდეგ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მუდმივად აღინიშნება. ღონისძიების ფარგლებში, ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ხარაგაულელ მხატვარ ნუგზარ ლაცაბიძის ნახატების გამოფენა მოეწყო. გამოიფინა ასევე მუზეუმის შემომწირველების უიშვიათესი ექსპონატები და ნივთები. ხარაგაულელი კახა დევდარიანისა და მისი მეუღლის, ირმა კობახიძის, დამსახურებით, მუზეუმს წელს რამდენიმე ახალი ნივთი შეემატა. მათ შორისაა ნატო ვაჩნაძის პორტრეტის (ნახატი, თ. ყუბანეიშვილი, ფანქარი) ორიგინალი. მოწვეულმა სტუმრებმა მსოფლიოს ცნობილი მხატვრების გაცოცხლებული ისტორიები იხილეს, შესრულდა კოსტიუმირებული

გაგრძელება ▶ 2 გვ.

აქციას - „ღამე მუზეუმში" - ხარაგაულიც შეუერთდა

დასაწყისი▶ 1 გვ.

პერფორმანსი. მუზეუმის დირექტორმა, ნინო დიდიძემ, ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის შემომწირველები: კახა დევდარიანი, ირინე კობახიძე, მურად მაჭარაშვილი, ლევან კიკნაძე, ნუნუ ბრეგვაძე, ლალი ალექსიძე, დალი მაღრაძე, ლელა ხეცაძე, შალვა ჩხეიძე, ლია ფოფხაძე, ჟუჟუნა კალანდაძე, რეზო კვირკვია და რუსუდან ფცქიალაძე მადლობის სიგელებით დაჯილდოვა. ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, დაესწრო. გამგებელი შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა და მუზეუმის თანამშრომლებს ორგანიზებული და შთამბეჭდავი საღამოსთვის მადლობა გადაუხადა. მან პირადი განწყობა გამოხატა ასევე თითოეული შემომწირველის მიმართ: „რასაც ეს ადამიანები აკეთებენ, დიდი სულისკვეთება და სამშობლოს განსაკუთრებული სიყვარულია. თითოეული შემომწირველი ქმნის ისტორიას და ეს ქართველების ერთგვარი მისიაცაა, რათა ამ ფორმით მომავალ თაობებს შევუნახოთ და გადავცეთ ჩვენი რელიკვია, უიშვიათესი ექსპონატები, ნივთები, ნახატები და, ზოგადად, ჩვენი ტრადიცია", - აღნიშნა გამგებელმა.

მუზეუმების საერთაშორისო დღე საქართველოში 2010 წლიდან აღინიშნება, ხოლო აქციის „ღამე მუზეუმში" ტრადიციად დამკვიდრების ინიციატივით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 2015 წელს გამოვიდა. სწორედ ამ დროიდან შეუერთდა აღნიშნულ პროექტს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი.

ლელა გუგულაშვილი
თეა გერიძე

ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს

22 მაისს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. საკითხი მათ, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, გააცნო. მოხსენებითი ბარათის თანახმად, 2017 წლის პირველი იანვრისათვის ბიუჯეტში არსებული ნაშთიდან 98,4 ათასი ლარი გადავიდა მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯებში. მათ შორის: სახელმწიფო ფონდებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან 94,9 ათასი ლარი და 3,5 ათასი ლარი საკუთარი სახსრების ნაშთიდან.

როგორც ვლადიმერ გელაშვილმა განმარტა, ზემოთ აღნიშნული თანხით 2014-2015 წლებში ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს შესრულებული სამუშაოებისთვის დარჩენილი საგარანტიო თანხები უნდა ჩაერიცხოთ. ეს თანხები კომპანიებს მას შემდეგ ჩაერიცხებათ, რაც გამგეობაში შექმნილი კონტროლის ჯგუფი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების შესახებ დადებს დასკვნას.

ბიუროს სხდომას მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე და პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე ესწრებოდნენ, რომლებმაც დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს.

საურებუღოს თავმჯდომარის, მანანა ბარბაქაძის, ინიციატივით შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძისა და ახალგაზრდული საკრებულოს ინიციატივით, კინოთეატრში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა პროგრამა ,,შენი გულისთვის – შენი უსაფრთხოებისთვის" ფარგლებში მოეწყო და მას მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის ახალი პროექტი დაიწყო, რომლის მიზანია ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია, საგზაო მოძრაობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და თითოეული მოქალაქის სიცოცხლის დაცვა. ახალი პროგრამა, საკანონმდებლო ცვლილებების გარდა, ფართომასშტაბიან სოციალურ კამპანიას მოიცავს, რომელიც საგზაო უსაფრთხოების საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს. პროექტზე სარეკლამო სააგენტო ,,Switch Communications"-მა იმუშავა. კამპანიის სლოგანია – „შენი გულისთვის – შენი უსაფრთხოებისთვის", რომლის კონცეფციაა-ყოველ ჯერზე, როდესაც ვარღვევთ საგზაო მოძრაობის წესებს, ჩვენ საფრთხეში ვაგდებთ ჩვენს და სხვის სიცოცხლეს. აღნიშნული სლოგანის ფარგლებში მომზადდა სოციალური ვიდეორგოლი, რაც ნაჩვენები იქნა ხარაგაულელი ახალგაზრდებისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ვახტანგ მთვარაძემ, მართვის მოწმობის 100-ქულიან სისტემაზეც ისაუბრა, რომელიც 2017 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება. ქულები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისას შემცირდება. ამასთან, ახალი ცვლილებების მიხედვით, ნასვამ მძღოლს მართვის მოწმობა 6 თვის ნაცვლად 1 წლით ჩამოერთმევა. კალენდარული წლის განმავლობაში სამართალდარღვევების გამო ქულების 0-მდე შემცირება მართვის უფლების შეჩერებას გამოიწვევს და პირი ვალდებულია, გამოცდა ხელახლა ჩააბაროს, ხოლო კალენდარული წლის განმავლობაში, ქულების 0-მდე განმეორებით შემცირების შემთხვევაში, სამართალდამრღვევს უფლება არ აქვს, გავიდეს მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე 1 კალენდარული წლის გასვლამდე. თუ ავტომობილის მართვის დროს მძღოლი მობილური ტელეფონით ისარგებლებს, 15 ქულა დააკლდება, ხოლო ღვედის გამოუყენებლობისას 10 ქულა, შესაბამისი რაოდენობის ჯარიმის გარდა. თუ მძღოლი შეაფერხებს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო ან პოლიციის ავტომობილის მოძრაობას, რომელზეც სპეციალური სიგნალია ჩართული, 20 ქულა ჩამოაკლდება, მაგრამ თუ ასეთ შემთხვევას სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვა – 40 ქულა.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები მიეღოთ.

ეკა შავიძე

ხანდების კლდეებზე საცოცი ბილიკები მოეწყობა

ე.წ. „ხანდების კლდეებზე" საცოცი ბილიკების გაკეთება უკვე გადაწყვეტილია. ამის შესახებ ინფორმაციას ,,ტურიზმის ცენტრი" (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) ავრცელებს. ერთი წლის წინ ხარაგაულში მთამსვლელები იმყოფებოდნენ, რომლებმაც ხანდების კლდე დაათვალიერეს და დაადგინეს, რომ ეს ადგილები მეკლდეურთა საცოცი პარკის მოსაწყობად იდეალური იქნებოდა. პროექტის განსახორციელებლად საჭირო იყო დაახლოებით 110 000 ლარი და ადგილის შესაბამისი მომზადება, სადაც ტურისტული ბაზა განთავსდებოდა. (60 ათასი ლარი-კლდეების გაწმენდა, დამუშავება, აღჭურვილობა ათ ადამიანზე, ტრენინგი და სწავლების კურსი. 50 ათასი ლარი, ტურისტული ბაზის მოსაწყობად).

ბერიკა თურმანიძის განცხადებით, მეკლდეურობა საქართველოში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება და მეტი ახალგაზრდა ინტერესდება ამ ექსტრემალური სპორტით. საქართველოში კლდეზე საცოცი პარკი სულ რამდენიმე ადგილზეა გაკეთებული და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ რიცხვს ხარაგაულიც შეუერთდება.

საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩოგოვაძემ, ხარაგაულში მეკლდეურობის განვითარებისთვის მზაობა გამოხატა. ხანდების კლდეებზე საცოცი ტრასების დაფინანსება უკვე გადაწყვეტილია. რაც შეეხება ტურისტული ბაზის მოწყობას, მას იმერეთის სკაუტური ორგანიზაციის ხელშეწყობით არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანა" დააფინანსებს.

ამ მეტად მნიშვნელოვანი იდეის განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ. იგი პირადად არის ჩართული ამ პროცესებში. ბაზის მოსაწყობად ა(ა)იპ „ ტურიზმის ცენტრისა" და ა(ა)იპ „ხარაგაულ-კეთილმოწყობის" თანამშრომლების მიერ უკვე მიმდინარეობს ტერიტორიის გასუფთავება ეკალ-ბარდისგან.

ბერიკა თურმანიძე ამბობს, რომ პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა სირთულის 10 საცოცი ტრასა გაკეთდება, რომელიც ითვალისწინებს სრულ აღჭურვილობას(დამცავი სისტემები, თოკები, ჩაფხუტები, კარაბინები და ა.შ) 10 მონაწილეზე და ტრენინგებს ინსტრუქტორებისთვის.

უსაფრთხოების მაქსიმალურად დაცვის მიზნით ტრენინგებს სამთო გიდების ასოციაცია(ხელმძღვანელი არჩილ ცინცაძე) ჩაუტარებს, ასევე ისინი უზრუნველყოფენ საცოცი ტრასების მოწყობას. ტურიზმის ცენტრის რამდენიმე თანამშრომელი გაივლის სწავლების კურსს და ხარაგაულს ეყოლება სერტიფიცირებული ინსტრუქტორები, რომლებიც იზრუნებენ ტურისტებისა და მოყვარულების უსაფრთხოებაზე.

ბერიკა თურმანიძე იმედოვნებს, რომ საცოცი ბილიკები სეზონის განმავლობაში ტურისტულად დატვირთული იქნება, რაც დამატებით თანხებს შემოიტანს ხარაგაულში და ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულში ,,ეროვნული სამოსის" დღე აღინიშნა

ხარაგაულში ა(ა)იპ „ისტორიული მუზეუმის" (დირექტორი ნინო დიდიძე) ორგანიზებით, ,,ეროვნული სამოსის დღე" აღინიშნა. კოსტიუმირებული მსვლელობა მუზეუმიდან დაიწყო და გზად მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები, ,,კულტურის ცენტრი" და საბავშვო ბაღის აღსაზრდელები შეუერთდნენ. მსვლელობაში მონაწილეობა მიიღეს ასევე სტოკჰოლმის სმენადაქვეითებულთა ასოციაციის შვედმა ექიმებმა, რომლებიც ამჟამად ხარაგაულში იმყოფებიან. შეკრებილთათვის ხარაგაულის ქუჩებში ანსამბლ „უბისის" (ხელმძღვანელი ზაზა და ელისო ლურსმანაშვილები) მოცეკვავეებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცეკვები შეასრულეს.

მსვლელობა ისტორიულ მუზეუმში დასრულდა და მონაწილეები წმინდა ანდრია პირველწოდებულის წინამძღვარმა მამა ანტონმა (სულთანიშვილი) დალოცა.

შეგახსენებთ, რომ ,,ეროვნული სამოსის დღე" წელს საქართველოში მეორედ აღინიშნა.

ეკა შავიძე

ნიჭიერების ცხივი ცაჯერთვიერლოლოდნ...

რა შეედრება იმ ბედნიერებას, როცა შენი ერის ნიჭიერების სხივი უცხო ქვეყნის მინას გადასწვდება... სიხარულთან შერწყმული საოცარი სიამაყე გეუფლება, როცა უშუალო მონმე ხარ იმ ოვაციისა, რასაც შენი ქვეყნის წარგზავნილი იმსახურებს. აღფრთოვანებას ვერ ფარავ და გულში იხუტებ მას, ვინც ასე ასახელა შენი საქართველო, შენი რაიონი, შენი სკოლა,-ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი სამუსიკო სკოლის ამაგდარმა ხელმძღვანელმა ქალბატონმა ლალი ალექსიძემ, რომელიც რამდენიმე დღეა, რაც იტალიიდან დაბრუნდა კონკურსში მონაწილე ხარაგაულის სამუსიკო სკოლის მეშვიდე კლასის წარმატებულ მოსწავლე სალომე მაჭავარიანთან ერთად.

***

ცნობილი იტალიელი კომპოზიტორის ჯოაკინო როსინის მშობლიურმა ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქმა პეზაარომ ფართოდ გაუღო კარი „მომავლის ვარსკვლავების“ მე-6 საერთაშორისო კონკურსს, რომელიც მიეძღვნა სახელგანთქმულ მაესტრო მარიო მელანის დაბადებიდან 100 წლისა და „მომავლის ვარსკვლავების“ დაფუძნების 10 წლის საიუბილეო თარიღებს.

კონკურსი მიზნად ისახავდა საფესტივალო პროექტებსა და მასტერკლასებს ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსებისათვის. მასში მონაწილეობას იღებდნენ საფორტეპიანო, ჩასაბერი, სიმებიანი, საორკესტრო და ვოკალური განყოფილების კონკურსანტები საქართველოდან, იტალიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, კორეადან, ლატვიიდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან, თურქეთიდან ხუთ ასაკობრივ კატეგორიაში.

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ მსოფლიო კლასიკური სამუსიკო ხელოვნების კორიფეები: ხელოვანთა კავშირის თავმჯდომარე, მუსიკოსი ნინო კუპატაძე, რენატა ტებალდისა და მარიო დელ მონაკოს სახელობის აკადემიის ხელმძღვანელი, ცნობილი სოპრანო ნინო ლეჟავა, პიანისტი ნინო ქათამაძე, პიანისტი პაოლა მარიოტტი, როსინის სახელობის ორკესტრის დირექტორი ბრუნო მარონა, ლიხტენშტეინის მუსიკოსთა ფონდის დამფუძნებელი ჟან ლემორი, ცნობილი იმპრესარიო ერნესტო პალაციო, თეირანის კონსერვატორიის პროფესორი თამარ დოლიძე.

ჩვენი მასპინძელი იყო პეზაროს საოპერო მუსიკის აკადემია, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში მაესტრო მარიო მელანი ხელმძღვანელობდა.

ვინც არ იცის, ალბათ ყველა ქართველი გაიხარებს, რომ ამ პრესტიჟულ აკადემიას დღეს სათავეში უდგას ცნობილი ქართველი სოპრანო ნინო ლეჟავა.

საოცარი ბედისა აღმოჩნდა 2011 წელს იტალიაში გამგზავრებული ქართველი სოპრანო ნინო ლეჟავა, რომელიც ბედმა მარიო მელანის შეახვედრა... როცა დიდმა მაესტრომ ნინო ლეჟავას სიმღერას მოუსმინა, ასე შეაფასა: „მსგავსი ხმა და მუსიკალურობა ორმოცი წელია, აღარ მსმენია. შენი ხმა, ინტერპრეტაცია და მუსიკალურობა საოპერო ხელოვნების რენესანსის პერიოდს მაგონებს...“ ცოტა ხნის შემდეგ კი მელანიმ ნინო ლეჟავა თავის მემკვიდრედ გამოაცხადა და აკადემიის სამხატვრო ხელმძღვანელობა შესთავაზა.

„- მაესტრო მარიო მელანიმ მიბოძა თავისი ადგილი და ყველაზე ძვირფასი რამ, რასაც მთელი სიცოცხლე, გამოცდილება და შემოქმედება მიუძღვნა“.- ამბობს ნინო ლეჟავა, რომელიც უკვე წლებია, რაც აგრძელებს დიდი მაესტროს გზას. სითბოთი, სიყვარულითა და პედაგოგიური ტაქტით გამორჩეული ნიჭიერი შემოქმედი ნინო ლეჟავა აკადემიაში რამდენიმე ახალგაზრდა ქართველ ვოკალისტს მწვანე შუქს უნთებს დიდი ხელოვნებისაკენ.

***

ფესტივალი 13 მაისს საზეიმოდ გაიხსნა, რომელიც სამი დღის განმავლობაში მაღალ დონეზე მიმდინარეობდა. ძალიან ვღელავდი 14 მაისს „- განაგრძობს ქალბატონი ლალი- როცა ჩვენი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე სალომე მაჭავარიანი (პედაგოგი დარეჯან გვაძაბია) უნდა წარმდგარიყო კომპეტენტური ჟიურისა და მსმენელთა წინაშე. საღლომემ შესანიშნავად შეასრულა ალექსი მაჭავარიანის „ბაზალეთის ტბა“ და პროკოფიევის „ მონტეგი და კაპულეტი“. მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი, როცა დარბაზი გოგონასადმი მიძღვნილმა მქუხარე აპლოდისმენტებმა მოიცვა.

შთამბეჭდავი იყო ფესტივალის დახურვის ცერემონიალი 17 მაისს. გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად მიწვეული იყვნენ საქართველოს ელჩი იტალიაში კახა სიხარულიძე, პეზაროს ვიცე-მერი დანიელე ვიმინი, მსოფლიო საორღანო ფესტივალის პრეზიდენტი მარია ჯორდანო და სხვები. სალომე მაჭავარიანმა დიპლომი, ფასიანი საჩუქარი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

13 მაისს, საღამოს 9 საათზე, მიგვიწვიეს მსოფლიო საორღანო დღეების რიგით მეორე კონცერტზე ეკლესიაში, სადაც ცნობილმა ორღანისტმა ეუჯენია მარია ფაჯინიმ უნიკალურ ასწლოვან ორღანზე შეასრულა ბახის, მალერის, ჰენდელის ქმნილებები. კონცერტი დაასრულა საკუთარი იმპროვიზაციებით. მას მსოფლიო საერთაშორისო კრიტიკოსები „იმპროვიზაციის ჯადოქარს“ უწოდებენ...

***

„ზღაპრის ახდენას რომ იტყვიან, სწორედ ისაა ჩემთვის კონკურსში მონაწილეობა, პიზაროს, სან-მარინოსა და ვენეციის საოცრებათა ხილვა, - ამბობს ჩვენი საამაყო გოგონა, სალომე მაჭავარიანი - არ ვიცი, რა სიტყვებით უნდა გადავუხადო სამადლობელი ჩემს უსაყვარლეს პედაგოგს, დარეჯან გვაძაბიას, სამუსიკო სკოლის ყველა პედაგოგს, ქალბატონ ლალი ალექსიძეს, რომლის ზრუნვა და ალერსი არ მომკლებია ამ ზღაპრული დღეების განმავლობაში. ბედნიერება იყო, რომ სწორედ მასთან ერთად გავეცანი პეზაროს, ვენეციისა და სან-მარინოს საოცრებებს. სან-მარინო გვაოცებს ისტორიული ძეგლებითა და ბუნების უჩვეულო სილამაზით, ხოლო ვენეცია? არ ძალმიძს, აღვწერო 118 პატარა კუნძულზე გაშენებული არხების, ნიღბებისა და ხიდების ქალაქის სილამაზე...

ამ დღეებმა სხვა პათოსით აღანთო ჩემი ცხოვრება, ჩემი სამომავლო მიზნები და ამოცანები...

განსაკუთრებული ემოციებითაა დატვირთული სალომე მაჭავარიანის პედაგოგი დარეჯან გვაძაბია: –„სალომე ძალზე მობილიზებული ნიჭიერი და მშრომელი გოგონაა. ის მესამე კლასიდან შემოუერთდა თბილისის სამუსიკო სკოლაში სწავლის ორწლიანი კურსით ჩვენს აღსაზრდელებს. ასაკთან შედარებით მას ცოდნის საფუძვლიანი ბაზისი ჰქონდა, რომელზეც შემდეგ იოლად დაეშენა სამომავლო წარმატებანი. მახარებს, რომ ბორის სკოლა-პანსიონში სალომე წარჩინებულია ყველა სასწავლო დისციპლინაში.

„მომავლის ვარსკვლავების“ კონკურსში სალომე ყოველწლიურად მონაწილეობს. გასულ წელს ბაქოს კონკურს-ფესტივალში იყო ჩართული, ხოლო წელს იტალიაში მისმა მინვევამ და წარმატებამ მთელი ხარაგაული გაახარა...

როგორც პედაგოგი, გვერდს ვერ ავუვლი იმ დიდ წვლილს, რაც მის აღზრდა-განათლებაში ოჯახსა და განსაკუთრებით მშობელ დედას მიუძღვის“.

მაკა ავალიშვილი, სალომეს დედა: „განგების მადლია, რომ ასეთ დიდ სიხარულს ვეზიარე. ჯერაც ვერ გამიცნობიერებია ის სიკეთე, რაც ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელმა, აღმზრდელებმა და თავდადებულმა პედაგოგმა დასდეს ჩემს შვილს. მწამს, უფალი არ დაიმურებს სამაგიერო სიკეთის მიზღვას მათი ოჯახებისა და აღსაზრდელებისათვის“.

P.S.

გაზეთი „ახალი ხარაგაული“ უერთდება სალომე მაჭავარიანისა და ჩვენი ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი თვალსაჩინო კერის, სამუსიკო სკოლის, პედაგოგებისა და მათი გულისხმიერი წინამძღოლის ქალბატონ ლალი ალექსიძის დიდ სიხარულს და მათ სამომავლო წარმატებულ დღეებს უსურვებს!

მერი გიორგიძე

მე რუსთაველის ქვეყნიდან ვარ!

„არაფერი ისე არ ამახსოვრდება ადამიანს, როგორც ბავშვობისას ძილისპირს დედის მიერ თქმული ზღაპარი, იავნანა, წაკითხული ლექსი, ან ამბავი რამე. მე არ მახსოვს, რამდენი წლისას მიკითხავდა დედა „ვეფხისტყაოსანს", ან ოდესმე ეთქვას ჩემთვის, ეს ადგილი ზეპირად ისწავლეო. მე მახსოვს მხოლოდ ის, რომ მაშინ კითხვა არ ვიცოდი და ეს უზარმაზარი წიგნი, „ვეფხისტყაოსანი" რომ ერქვა, მხოლოდ ლამაზი, ფერად – ფერადი სურათებით გაწყობილი ყუთი იყო ჩემთვის, რომლიდანაც დედაჩემი ცისარტყელასავით ჭრელ, ლამაზ სიზმრებსა და ძილისმომგვრელ სიმღერებს ალაგებდა, მიწყობდა სასთუმალს და ალბათ ისევ დედის გამოა, რომ ეს ლამაზი უკვდავი წიგნი დღემდე მიდევს სასთუმალს, როგორც: ავადმყოფს – წამალი, ხეიბარს – ყავარჯენი, მეომარს – იარაღი და მწერალს ქართული სიტყვის თვალმარგალიტით სავსე, აუწონელი საუნჯე და სალარო.“- იხსენებს ნოდარ დუმბაძე.

დღესაც ასეთივე ღირებულია ქართველებისთვის ეს გენიალური პოემა,რომელიც საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა ქართველი კაცის ზნეობრივ სახეს და ერს უზენაესი ჭეშმარიტებისაკენ მიუძღოდა. ეს პოემა სიბრძნისა და მხატვრული სიტყვის ამოუწურავი საგანძურია, რომელსაც ღირებული ადგილი უჭირავს მსოფლიოს პოეზიის უპირველეს შედევრთა შორის. ქართველმა კაცმა ყოველთვის კარგად იცოდა და იცის „ვეფხისტყაოსნის" ფასი, მისი განსაკუთრებული ადგილი ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, უყვარდა და საუკუნეთა განმავლობაში იცავდა კიდეც მას. რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით 26 მაისს მთელი ქვეყნის მასშტაბით მოეწყო „ვეფხისტყაოსნის" საჯაროდ კითხვის დღე. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ თოფურიძის, ინიციატივით, ამ დღეს ხარაგაულიც შეუერთდა და ისტორიული მუზეუმის ეზოში ძალიან შთამბეჭდავი და სასიამოვნო საღამო გაიმართა, სადაც პოემის პირველი სტრიქონები პროექტში ჩართულმა ყველაზე პატარა მკითხველმა, 11 წლის მაიკო მესხმა წაიკითხა... საღამოს ესწრებოდნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ადამიანები, რომელთათვისაც დიდი სიამოვნებაა „ვეფხისტყაოსნის" თითოეულ სტროფთან მიახლება...

ლელა გუგულაშვილი

ამოუცნობი გრძნობა დაგვეუფლა...

2017 წლის უმშვენიერესმა მაისმა კიდევ ერთი ულამაზესი დღე ჩაწერა თბილისის 129-ე საჯარო სკოლის (დირექტორი მაკა ხიჯაკაძე) ცხოვრებაში... დღე ქართული ჯიშის, ქართული გენის, ქართული სულის ზეობისა...

გადაჭედილი დარბაზი... უამრავი საპატიო სტუმარი, სტუმართა შორის უპირველესი - ქართველთა და ებრაელთა ოცდაექვსაუკუნოვანი მეგობრობის დელეგაცია ისრაელიდან ბატონ პაატა იოსებაშვილის ხელმძღვანელობით, მასპინძლები, რომლებიც მონუსხა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახალხო ლიტერატურული თეატრის უნიჭიერესმა მსახიობმა და უმშვენიერესმა ქალბატონმა, იზა ვეფხვაძემ, ქართული მხატვრული კითხვის ვირტუოზმა.

ლიტერატურული სპექტაკლი „ამ მიწის ბედი ჩემი ბედია“ მან მიუძღვნა გოდერძი ჩოხელის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

დარბაზში მსხდომნი ორი საათის განმავლობაში მონუსხული ვუსმენდით უნიჭიერეს ქალბატონს... იყო აღფრთოვანება, რომელსაც თან სდევდა ცრემლი, რომელიც გამონვეული იყო ჩვენი საუკუნის გამორჩეული პიროვნების, მწერლის, რეჟისორის, როგორც თავად იტყოდა, „ვარდისფერი“ კაცის, გოდერძი ჩოხელის, ტრაგიკული ბედით.

ეს იყო დღე, როცა ზენიტამდე მიაღწია ქართულმა ნიჭმა და საბოლოოდ, ვირწმუნეთ, რომ ჩვენ ის ერი ვართ, რომელიც არასდროს გადაშენდება, სანამ თუნდაც ერთი, ქალბატონი იზასნაირი ქართველი, ივლის ჩვენს მიწაზე.

მადლობა თქვენ, ქალბატონო იზა, იმ დიდი სიამოვნებისა და თუნდაც ცრემლისათვის, რომელიც იმ წუთებში დარბაზში იღვრებოდა...

იყო პედაგოგი - ეს დიდი პასუხისმგებლობა და განსაკუთრებული მოვალეობაა ერისა და ქვეყნის წინაშე. მაგრამ... იზა ვეფხვაძის პედაგოგობა ეს განგების მადლია, მადლი, რომელიც უხვად დააბერტყა ზენაარმა ქალბატონ მერი გიორგიძეს.

ღმერთმა გვიმრავლოს, ქალბატონო მერი, თქვენისთანა მოძღვარი, რომ არა ერთი და ორი, არამედ მრავალი ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი აღიზარდოს ჩვენს მამულში.

ქედს ვიხრი თქვენსა და თქვენი აღზრდილის წინაშე. დიდება უფალს!

რაც შეეხება ქალბატონ იზას, ის ღვთიური მოვლენაა, ანალოგი არც მინახავს და არც მსმენია. ვუყურებდი სცენაზე მდგომ საოცრებას და ვგრძნობდი, თუ როგორ დგებოდა ფეხზე მიწაზე განრთხმული, ნაცემ-ნაგვემი, შეურაცხყოფილი საქართველო. სიხარულის და ამოუცნობი გრძნობის ცრემლები თავისდაუნებურად მცვიოდა თვალებიდან. მცვიოდა და ვფიქრობდი: ჩვენ გადავრჩებით, ჩვენ ვერავინ მოგვერევა, ჩვენ არ გადავშენდებით!

იზას ტკბილი ხმა ჩამძახოდა ამ ყველაფერს და მეუბნებოდა, მე არა ვარ მარტო, ჩემ გვერდით უამრავი ნიჭიერი და პატრიოტი ქართველია. ჩვენ, ყველა ერთად მუშტშეკრული, ღვთის წყალობით გავაძლიერებთ საქართველოს. ძალა ხომ ერთობაშია! საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა!

ქალბატონი იზას გაცნობით, მისი განსაკუთრებული შემოქმედებითი უნარის ხილვით, რაღაც ამოუცნობი გრძნობა დაგვეუფლა მეც და ჩვენს კოლეგებსაც, ესაა გრძნობა უფლისა, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულისა...

მრავალჟამიერ თქვენს შემართებას, თქვენს ნიჭიერებას, ქალბატონო იზა!

129-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი

ლიანა მაისურაძე

საგანმანათლებლო რესურსცენტრში დირექტორებთან შეხვედრა გაიმართა

29 მაისს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში დირექტორებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც დირექტორთა საბჭოში იმერეთის რეგიონის წარმომადგენელი, ქეთევან შარიქაძე, ესწრებოდა. ქალბატონმა ქეთევანმა სკოლის დირექტორებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავასთან შეხვედრის დროს განხილული საკითხები გააცნო. მისივე თქმით, მინისტრმა სკოლებში არსებულ იმ პრობლემებზე ისაუბრა, როგორებიცაა: ჰიგიენა, კვება, დისციპლინა და ა.შ.

სკოლის დირექტორებმა პედაგოგთა კვალიფიკაციაზე გაამახვილეს ყურადღება. ხიდრის საჯარო სკოლის დირექტორი, ეთერ პაპავა, ამბობს, რომ მათემატიკის მასწავლებლის ვაკანსიაზე, სხვა კადრის არარსებობის გამო, სტაჟის არმქონე პიროვნება დანიშნა. მისივე თქმით, ახალდანიშნული პედაგოგი დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, თუმცა ყოველივე კანონშეუსაბამოა. სკოლის დირექტორმა ამ საკითხის მოგვარებაში დახმარება ქეთევან შარიქაძეს სთხოვა.

ქეთევან შარიქაძემ შეხვედრაზე წამოჭრილი პრობლემატური საკითხები ჩაინიშნა და მათი გადაჭრის გზებზე მინისტრთან შეხვედრაზე იმსჯელებს.

თათბირზე საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, საატესტატო გამოცდების შესახებაც ისაუბრა. მისი თქმით, არაოფიციალური მონაცემებით მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლების 279 მოსწავლიდან საატესტატო გამოცდა 84-მა ვერ ჩააბარა. რესურსცენტრის უფროსმა პედაგოგებს მოუწოდა, შიდა სასკოლო გამოცდები ჩაატარონ და ვინც ვერ გადალახავს მინიმალურ ზღვარს, მომდევნო კლასში არ გადაიყვანონ. ასეთ შემთხვევაში კი მოსწავლე საბაზო საფეხურიდან შეწყვეტს სწავლას.

შეხვედრაზე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ლალი სებისკვერაძემ ახალი ინფორმაცია გააჟღერა. მისი თქმით, 3-4 ივნისს, თბილისში გამართულ კონფერენციაზე საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე და ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მათემატიკის სერტიფიცირებული პედაგოგი, ალექსანდრა ჭიპაშვილი, მიიღებენ მონაწილეობას. ქალბატონმა ლალიმ პედაგოგებს ასევე სკოლის ასაკის ბავშვთა ინკლუზიის ტრენინგში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცა.

თამარ მაღრაძე

N3 საჯარო სკოლაში პირველკლასელებმა ანბანი გააცილეს

ერთი არაჩვეულებრივი დღე აჩუქეს დამსწრე საზოგადოებას მე-3 საჯარო სკოლის პირველი კლასის პედაგოგმა თამარ სხილაძემ და უნიჭიერესმა მოსწავლეებმა. პატარებმა დიდი ზეიმითა და პატივისცემით გააცილეს ანბანი და დამსწრე საზოგადოებას ქართული სიტყვის მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს. ღონისძიება მეტად შთამბეჭდავი და ორიგინალური გამოვიდა, ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსები, სიმღერები, ცეკვები, ინსცენირებები. მოსწავლეებმა გამოავლინეს ნიჭის საოცარი უნარები.

ანბანის გაცილებას სკოლის დირექტორი მარინე ხვედელიძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები ესწრებოდნენ. სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა თამარ სხილაძეს და აღნიშნა, რომ პირველკლასელთა ასეთი წარმატება სწორედ ქალბატონი თამარის თავდაუზოგავი შრომის შედეგია.

ლამაზი სიტვებით შეამკო მოსწავლეები ამავე სკოლის პედაგოგმა, მერი გიორგიძემ, და მათ ყურადსაღები რჩევა-დარიგებები მისცა სამომავლოდ.

ეკა შავიძე

ანტალიაში გამართულ ტურნირზე ხარაგაულელმა ზაურ ბერაძემ წარმატებით იასპარეზა

19-21 მაისს თურქეთის ქალაქ ანტალიაში ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, სადაც საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა გელა საღირაშვილის ხელმძღვანელობით იასპარეზა და 4 მედალი - 2 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვა. ვერცხლის მედლებს ივერიკო ჯულაყიძე (66) და ზურიკო ურთაშვილი (120) დაეუფლნენ, მესამე საპრიზო ადგილის მფლობელები კი ზაურ ბერაძე (84) და გივი მაჭარაშვილი (97) გახდნენ.

შეჯიბრებაში სულ 12 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

,,ტურიზმის ცენტრის" დირექტორი ახალგაზრდული მუნიციპალური ქსელის ფარგლებში საღონიეში გამართული ფესტივალის დაესწრება

ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის" დირექტორი ბერიკა თურმანიძე სალონიკის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციამ (K.E.DI.TH. პრეზიდენტი მარია პასჩალიოუ) ახალგაზრდული მუნიციპალური ქსელის ფარგლებში 9-10 ივნისს სალონიკში მიიწვია. ხუთი წელია, რაც ორგანიზაცია „ქუჩის არტის ფესტივალი" წარმატებით ატარებს ახალგაზრდულ ფესტივალს და იწვევს დაინტერესებულ ქვეყნებს, რათა მოხდეს სალონიკის გამოცდილების გაზიარება და 2018 წლისთვის დაიგეგმოს მსგავსი აქტივობა პარტნიორ მუნიციპალიტეტებში.

ტურიზმის ცენტრის დირექტორის ვიზიტის ხარჯებს „ქუჩის არტის" ფესტივალზე სალონიკის მუნიციპალიტეტი დააფინანსებს.

ხარაგაულელ სპორტსმენთა ახალი მიღწევები

ზესტაფონში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2005 – 2007 და 2002 – 2004 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალიტეტის" ნორჩმა ძიუდოისტებმა. პირველი ადგილი დაიკავა ზურა ლომიძემ (მწვრთნელი სოსო ხაჩიძე); მესამე ადგილზე საბა სებისკვერაძე (მწვრთნელი ლევან დონაძე) და ლუკა ცხვედაძე გავიდნენ. ტურნირში საქართველოს 27 მუნიციპალიტეტი მონაწილეობდა.

***

თერჯოლაში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონის, მიხეილ აბაშიძის, სახელობის ტურნირი სამბოში. ბორითის საჯარო სკოლის მოსწავლე საბა სებისკვერაძემ III საპრიზო ადგილი დაიკავა (მწვრთნელი ლევან დონაძე).

***

ხაშურში გია მშვენიერაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ჩატარდა ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში, სადაც წარმატებით იასპარეზეს ხარაგაულელებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ ნოდარ ბაკაშვილი და გიორგი მაჩიტიძე, ხოლო მესამე ადგილი ტარიელ ჭიჭინაძემ, გიორგი ჭუბაბრიამ, ჯაბა სარალიძემ და დაჩი კვინიკაძემ დაიკავეს (მწვრთნელი ვეფხვია გამრეკელაშვილი).

***

სოფელ ბორითში გაიმართა ლაშა კურტანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მანდაეთის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კიცხის, მარელისისა და ბორითის საჯარო სკოლების გუნდები. ფინალურ შეხვედრაში მარელისის საჯარო სკოლის გუნდმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა ბორითის გუნდი და პირველი ადგილი დაიკავა (მწვრთნელი ლაშა ღონღაძე).

„ბოლო ზარი" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში

19 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში „ბოლო ზარი" ერთდროულად დაირეკა. სკოლას 170 მეთორმეტეკლასელი დაემშვიდობა. ახალგაზრდებს სკოლის დამთავრება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, საკრებულოს დეპუტატებმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ „ბოლო ზარის" საზეიმო ღონისძიებებზე პირადად მიულოცეს. კურსდამთავრებულები იუმორისტული, მუსიკალური, ქორეოგრაფიული და სხვა დასამახსოვრებელი ნომრებით წარდგნენ სტუმრების წინაშე.

ღონისძიების დასრულების შემდეგ სიტყვით მიმართა ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ და მათ შემდგომში წარმატებები უსურვა.

,,ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადიხართ და იცოდეთ, თქვენი მომავალი თქვენს ხელთაა. წიგნთან ახლოს იყავით, ბევრი იშრომეთ და აუცილებლად მიიღებთ შედეგს. თუ არ ხარ პროფესიონალი შენი საქმისა, არავის სჭირდება ასეთი კადრი. ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე თქვენზეა დამოკიდებული და თითოეულ თქვენგანს ბედნიერ მომავალს გისურვებთ,,-დასძინა გამგებელმა.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, კურსდამთავრებულებს მოუწოდა, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დასრულების შემდეგ ხარაგაულს დაუბრუნდნენ. „წარმატებებს გისურვებთ ცხოვრების იმ გზაზე, რომელსაც თქვენ აირჩევთ. მინდა, ჩამოყალიბდეთ პროფესიონალებად და ჩემი სურვილია, განათლების მიღების შემდეგ აქ განაგრძოთ კარიერული საქმიანობა. არასოდეს დაგავიწყდეთ, საიდან მოდიხართ, იყავით ღირსეული დესპანები თქვენი რაიონისა და ქვეყნისა". - აღნიშნა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა.

აღსანიშნავია, რომ 2017-2018 სასწავლო წელს ხარაგაულის მასშტაბით სკოლის კარს დაახლოებით 200-მდე პირველკლასელი შეაღებს.

ეკა შავიძე

საცხური შემოქმედების სახლმა „თამარობა"ვარძიაში აღნიშნა

14 მაისს მართლმადიდებელი ეკლესია ქართველთა კეთილმორწმუნე მეფე თამარის ხსენების დღეს აღნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით, ა(ა)იპ „ხალხური შემოქმედების სახლის" ზეპირსიტყვიერების წრის (ხელმძღვანელი თამარ ავალიშვილი) მოსწავლეებმა სოფელ ვარძიაში თამარ მეფის დროს აგებული დედაღვთისას ტაძარი მოილოცეს და ეკლესიის ეზოში კომპოზიცია - „თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში" წარმოადგინეს. ხალხური შემოქმედების სახლის ანსამბლმა „საუნჯემ" (ლოტბარი მაია მაღრაძე) კი თამარ მეფეზე შექმნილი ხალხური სიმღერები შეასრულა.

ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები: ლელა შარიქაძე, თინათინ მეტრეველი და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ექსკურსანტებს ფინანსური მხარდაჭერა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა(უფროსი ირინე ჩხეიძე) გაუწია.

სამუსიკო სკოლაში ღონისძიება გაიმართა

სამუსიკო სკოლაში (დირექტორი ლალი ალექსიძე) აღსაზრდელებმა სიმღერის მოყვარულებს კიდევ ერთი დაუვიწყარი საღამო აჩუქეს. პედაგოგ ხათუნა მაჭავარიანის მოსწავლეებმა მსმენელთათვის არაერთი ლამაზი მელოდია შეასრულეს. ნაწარმოების მაღალ დონეზე შესრულებით გამოირჩეოდნენ ახალბედა მუსიკოსები, რომლებმაც მაყურებლის მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურეს. დასასრულს, სკოლის დირექტორმა, ლალი ალექსიძემ, მადლობა გადაუხადა პედაგოგებსა და მოსწავლეებს დაუღალავი შრომისათვის. ღონისძიებას გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ირინე ჩხეიძე, ესწრებოდა. ქალბატონმა ირინემ ემოციები ვერ დამალა და დასძინა, რომ სამუსიკო სკოლის პედაგოგები ნაყოფიერად შრომობენ, რაც აღსაზრდელთა წარმატებაზე აისახება.

თამარ მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12